საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2024 წლის მარტი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2024 წლის მარტის თვეში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №243

2024 წლის 29 მარტს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №104 ბრძანებით „მოთხოვნების/სტანდარტების დადგენის/სამოქმედოდ შემოღების შესახებ, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მაძიებლის/ნებართვის მფლობელის მიერ თავის საქმიანობაში გამოსაყენებელი/გამოყენებული არსებითი პროდუქცია/მომსახურება, POS ტერმინალი ან/და ნებისმიერი სხვა მოწყობილობა“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის №243 ბრძანებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პირველ მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) „ცენტრალური სისტემის მოთხოვნები/სტანდარტები“ (დანართი №4).“.

2. ბრძანებით დამტკიცებული „სათამაშო აპარატების მოთხოვნების/სტანდარტების“ (დანართი №2):

ა) პირველი მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტი ამოღებულ იქნა;

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ა.ბ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. მოთამაშის ბარათი – ოპერატორის მიერ მოთამაშის რეგისტრაციისას მოთამაშეზე გადაცემული ბარათი, რომელსაც ენიჭება მოთამაშის უნიკალური ნომერი და რომლის მეშვეობითაც ხდება მოთამაშის დეპოზიტების, შეტანილი, გატანილი, მოგებული ან/და წაგებული თანხების ცენტრალურ სისტემაში ასახვა.“;

ბ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსი „ა.ე“ ქვეპუნქტი:

„ა.ე) ბანკნოტების მიმღები გააქტიურდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სათამაშო აპარატის ბარათის წამკითხველში იქნება მოთავსებული მოთამაშის მოქმედი ბარათი.“.

3. ბრძანებას დაემატა „ცენტრალური სისტემის მოთხოვნები/სტანდარტები“ (დანართი №4) თანდართული რედაქციით.

პირი ვალდებულია, არაუგვიანეს 2025 წლის 1 მარტისა, განახორციელოს ამ ბრძანებით დამტკიცებული „ცენტრალური სისტემის მოთხოვნების/სტანდარტების“ (დანართი №4) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასება და შეფასების ანგარიშის ასლი წარუდგინოს შერჩეულ პირს, 2024 წლის 1 აპრილიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის და დანართის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040170310.22.033.017812

ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდა 2024 წლის 1 აპრილიდან.

ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდება 2024 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

2024 წლის 6 მარტს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება და მე-4 მუხლი (ხანდაზმულობის ვადა); 238-ე მუხლი (საგადასახადო დავალიანების

გადახდევინების უზრუნველყოფა საგადასახადო ორგანოს მიერ) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

კანონის პირველი მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდა 2024 წლის 2 აპრილიდან.

კანონის პირველი მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდა 2024 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.102240

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი

2024 წლის 7 მარტს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. 141-ე მუხლის მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„9. 2025 წლის 1 დეკემბრამდე ამ კოდექსით განსაზღვრული სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასებასა და ტექნიკურ ზედამხედველობას აკრედიტებულ ინსპექტირების ორგანოებსა და სერტიფიცირებულ ექსპერტებთან ერთად ახორციელებენ სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასებისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების დროებითი წესით განსაზღვრული პირები.“.

2. 144-ე მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„7. ამ კოდექსის 140-ე მუხლის მოქმედება შეჩერდა 2025 წლის 1 დეკემბრამდე.“

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 330090000.05.001.102239

კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლის მე-9 ნაწილის მოქმედება გავრცელდა 2024 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა შემდეგი შინაარსის 20^{16} მუხლი:

„მუხლი 20^{16}

1. თუ ამ მუხლის ამოქმედებამდე გაცემულ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული დაბადების თარიღი განსხვავდება ამ დოკუმენტის მფლობელის დაბადების აქტის ჩანაწერში ან/და დაბადების მოწმობაში მითითებული მისივე დაბადების თარიღისგან, ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ ამ პირზე გაცემულ საქართველოს მოქალაქის პირადობის ყოველ ახალ მოწმობაზე, საქართველოს მოქალაქის ყოველ ახალ პასპორტსა და საქართველოს მოქალაქის სამსახურებრივი სარგებლობის ყოველ ახალ პასპორტზე მისი თანხმობით დაიტანება იგივე დაბადების თარიღი, რომელიც ამ მუხლის ამოქმედებამდე გაცემულ პირადობის დამადასტურებელ აღნიშნულ დოკუმენტშია მითითებული. ამ მუხლის ამოქმედებამდე გაცემულ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ამ პუნქტის მიზნებისთვის იგულისხმება ამავე მუხლის

ამოქმედებამდე ბოლოს გაცემული რომელიმე შემდეგი დოკუმენტი: საქართველოს მოქალაქის პირადობის მოქმედი ან ძალადაკარგული მოწმობა, საქართველოს მოქალაქის მოქმედი ან ძალადაკარგული პასპორტი, საქართველოს მოქალაქის სამსახურებრივი სარგებლობის მოქმედი ან ძალადაკარგული პასპორტი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს მოქალაქის პირადობის ახალ მოწმობაზე, საქართველოს მოქალაქის ახალ პასპორტზე ან საქართველოს მოქალაქის სამსახურებრივი სარგებლობის ახალ პასპორტზე იმავე პუნქტის შესაბამისად დატანილი ჩანაწერი (დაბადების თარიღი) არ შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქის პირადობის ამ მოწმობის, საქართველოს მოქალაქის ამ პასპორტის ან საქართველოს მოქალაქის სამსახურებრივი სარგებლობის ამ პასპორტის გაუქმების საფუძველი.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010130000.05.001.102237

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი„არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“

2024 წლის 7 მარტს „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 19 [1] მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19[1]. არქიტექტურული საქმიანობის სერტიფიცირება გარდამავალ პერიოდში

არქიტექტორს ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული არქიტექტურული პროექტის დასამოწმებლად 2025 წლის 1 დეკემბრამდე შესაბამისი სერტიფიკატის ფლობა არ მოეთხოვება.“.

კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 19[1] მუხლის მოქმედება გავრცელდა 2024 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 330090000.05.001.102238

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №32

2024 წლის 1 მარტს დამტკიცდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანდართული დებულება.

ძალადაკარგულად გამოცხადდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 1 მარტის №01 ბრძანება.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 080240000.78.091.016033

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2024 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №33

2024 წლის 1 მარტს დამტკიცდა „პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის თაობაზე ნებართვის გაცემის წესი“ (დანართი №1). დამტკიცდა „განაცხადის ფორმა პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის თაობაზე“ (დანართი №2).

ძალადაკარგულად გამოცხადდა „პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის თაობაზე ნებართვის გაცემის წესის“ დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №02 ბრძანება.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010100000.78.091.016034

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2024 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34

2024 წლის 1 მარტს დამტკიცდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის თანდართული წესი.

ძალადაკარგულად გამოცხადდა „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მარტის №04 ბრძანება.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010100000.78.091.016035

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2024 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №35

2024 წლის 7 მარტს დადგინდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლის მიერ სამსახურის გავლის თანდართული წესი.

ზემოაღნიშნული წესის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010100000.78.091.016036

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2024 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2024 წლის 12 მარტს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №76 ბრძანებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №8) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017808

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2024 წლის 13 მარტს შევიდა ცვლილება და საქართველოს ფინანსთა მინისტრის №74 ბრძანებით „საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)" გამოყენების შესაძლებლობის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №20) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017806

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

LCC
Law Firm

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2024 წლის 14 მარტს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №80 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და ინსტრუქციის 39^4 მუხლის შემდეგ დაემატა 39^5 მუხლი (ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის სარეალიზაციოდ განკუთვნილი სტაციონარული სავაჭრო ობიექტების და არასტაციონარული სავაჭრო ადგილების მეიჯარის მიერ ინფორმაციის წარდგენა) და 112-ე მუხლის 68-ე პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 69-ე პუნქტი:

„69. პირი, რომელიც სტაციონარული სავაჭრო ობიექტის ან/და არასტაციონარული სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემას ახორციელებს ბაზრობის ტერიტორიაზე და აღნიშნული საიჯარო ურთიერთობა წარმოშობილია 2024 წლის 1 აპრილამდე, ვალდებულია ამ ინსტრუქციის 395 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს არაუგვიანეს 2024 წლის 31 მაისისა.“.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017809

ბრძანება ამოქმედდა 2024 წლის 1 აპრილიდან.

ამავე ბრძანებაში 2024 წლის 26 მარტს შევიდა ცვლილება და 77-ე მუხლი (აქციზის დეკლარაციის შევსება); 78^{1-} მუხლი (არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირება) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017810

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდა 2024 წლის 26 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

LCC
Law Firm

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №62/04

2024 წლის 15 მარტს დამტკიცდა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესი“ თანდართულ დანართებთან ერთად.

ძალადაკარგულად გამოცხადდა „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 31 მაისის №61/04 ბრძანება.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016836

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №64/04

2024 წლის 20 მარტს დამტკიცდა „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესი“ თანდართულ დანართებთან ერთად.

ძალადაკარგულად გამოცხადდა „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 15 ნოემბრის №248/04 ბრძანება.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220010000.18.011.016839

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №65/04

2024 წლის 20 მარტს დამტკიცდა „სესხის გამცემი სუბიექტების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესი“ თანდართულ დანართებთან ერთად.

ძალადაკარგულად გამოცხადდა „სესხის გამცემი სუბიექტების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 9 ოქტომბრის №183/04 ბრძანება.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220060000.18.011.016840

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №797

2024 წლის 26 მარტს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №994 ბრძანებით „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №797 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და ინსტრუქციის 37-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. 2022 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული იმ სუბიექტის შესახებ, რომელსაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 254-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის განმავლობაში შესაბამისობაში არ მოუყვანია რეგისტრირებული მონაცემები, რეესტრიდან ამონაწერი გაიცემა შეუზღუდავად, 2022 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ამონაწერის ფორმით, სადაც აისახება ინფორმაცია სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან

შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულების თაობაზე. ამ ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში სუბიექტს უჩერდება რეგისტრაცია, ამის შესახებ მიეთითება რეესტრში და რეესტრიდან ამონაწერი აღარ გაიცემა.";

ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040230000.22.027.017482

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №256

2024 წლის 28 მარტს საქართველოს მთავრობის №111 დადგენილებით საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლის მე-9 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასებისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების დროებითი წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №256 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასებისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების დროებითი წესის": 1-ლი მუხლი (მოქმედების სფერო); მე-3 მუხლი (სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასებისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების მქონე პირები) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 300310000.10.003.024504

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

LCC
Law Firm

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge